



ფ. 1110

საქართველოს საგარეო სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

დადგენილებათა და განვირებულებათა პრეზიდი

1939 წ. იანვრის 10

№ 1

თავმჯდომარებელი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

შ 0 6 5 1 6 6 0

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

1. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურ-საჭოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსაღების ჩატარების შესახებ.
2. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ დამალისტთა განაწილების წესის შესახებ.
3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო დამტკიცების დამტკიცების შესახებ.
4. დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.
5. რაიონული საგეგმო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.
6. რაიონული საგეგმო კომისიების შესდების მე-12 მუხლის თანაბრძად განუყოფა უონდების ანარიცხის ოდენობის გამოსარტყევევად შარცვლების, ტექნიკურ და მეცნიერებისა და მეცნიერების რაიონების დაწესების შესახებ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
გადამდინარე



სახალხო კომისართა საგზოს დადგენილებანი

1. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან საბინა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოხალების ჩატარების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური ორმასრულებელი კომიტეტის, აგრეთვე ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებისა და საქალაქე საბჭოების თავმჯდომარეებს მოისმინონ ავტონომიურ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის, რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმის სხდომებზე კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსალების ჩატარების მიმდინარეობა და დასახონ ლონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ გამოსალების გამოანგარიშების დამთავრებას, გადამხდელებისათვის შეტყობინებათა ჩაბრტბას 1939 წლის 16 იანვრამდე და გადასახდელთა სრულად აკრეფის დაწესებულ ვადებში.

2. იმის გამო, რომ 1939 წელს კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსალების გადახდევინება პირველად იწარმოებს რაიონ საფინანსო ორგანოების საგადასახადო იგნორების მეშვეობით, დაევალოს აფხაზეთის და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების თავმჯდომარეებ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს და ყველა რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებისა და საქალაქო საბჭოების თავმჯდომარეებს გააძლიერონ მეთვალყურეობა და კონტროლი გამოსალების ჩატარებისათვის და მაქსიმალური დახმარება აღმოუჩინონ საფინანსო ორგანოებს ამ უმნიშვნელოვანეს მუშაობის ჩატარების საქმეში.

3. კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსალების საშუალო განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1938 წ. 8 თებერვალს „კოლმეურნებისა და ერთპიროვნულ მეურნეებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსალების დაწესების შესახებ“ გამოცემული და დგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1938 წ. № 4, მუხ. 16) აფხაზეთის და იმრის ასსრ, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა და საქართველოს სსრ რაიონ ბისათვის დატოვებულ იქნას უცვლელად 1939 წლისათვის.

4. იხლად შექმნილ წითელ-წყაროს რაიონისათვის დაწესდეს კოლმეურულნებისათვის და ერთპიროვნულ მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გადასახდევინებელი გამოსალების საშუალო განაკვეთები შემდეგი ოდნობით: კოლმეურნეობათა იმ მეურნეობისათვის, რომლებსაც არა აქვთ შემოსაელის განუსაზოგადოებელი წყაროები—20 მანეთი; მშრომელ ერთპიროვნულ ცლებთა მეურნეობებისათვის, რომლებსაც არა ჰყავთ არც მუშა პირუტყვი, არა აქვთ არც საბაზრო და არც სამიწათმოქმედო შემოსავალი—გასული წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის 85%, ხოლო იმ მეურნეობებისათვის, რომლებსაც ჰყავთ მუშა-პირუტყვი ანდა აქვთ ან საბაზრო ან არასამიწათმოქმედო შემოსავალი, გასული წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხის 120%.

5. ნება დაერთოს რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტების და საქალაქო საბჭოების პრეზიდიუმებს შესცვალონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გადასახდევინებელი გამოსალების დაწესებული განაკვეთები რაიონის შიგნით კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეობა სეურნეობებისათვის განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც რაიონის ეკონომიკში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, იმ პირობით, რომ უცვლელად დარჩეს რაიონისათვის დაწესებული საშუალო განაკვეთები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და იაიონულ საფინანსო განყოფილებებს დაუყოვნებლივ მოახდინონ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გადასახდევინებული გამოსალების გადაანგარიშება, რაც კანონით არის დაწესებული კოლმეურნეობებში შესულ ერთპიროვნულ მეურნეობისათვის.


7. 1939 წლის 15 თებერვლისათვის საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება კოლმეურნეებისა და ერთპიროვნულ მეურნეობა მეურნეობებისაგან საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობის საჭიროებისათვის გამოსალების ჩატარების შედეგების შესახებ.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

39 წ. იანვრის 3. № 7.

თბილისი.



2. თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურული დამთავრებულ სპეციალისტთა განაწილების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენს:

1. იმის გამო, რომ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ და იურიდიულ ფაკულტეტების კურსდამთავრებული სტუდენტები სამუშაოზე განაწილებულ უნდა იქნან საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის, ფინანსთა სახალხო კომისარიატის, ვაჭრობის სახალხო კომისარიატის, იუსტიციის სახალხო კომისარიატისა და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს სისტემის დაწესებულებებში, დადგენილ იქნას სამუშაოზე მათი განაწილების შემდეგი შეს:

ა) ეკონომიკურ ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტებს სამუშაოდ ანაწილებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსის, ფინანსთა და ვაჭრობის სახალხო კომისარების მონაწილეობით;

ბ) იურიდიულ ფაკულტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტებს სამუშაოდ ანაწილებს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისართან ერთად;

გ) თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ და იურიდიულ ფაკულტეტების კურსდამთავრებულ სტუდენტთა განაწილებას განათლების სახალხო კომისარი დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

2. იმის გამო, რომ მთელი რიგი სტუდენტები, რომლებმაც 1938 წლის დამთავრეს ეკონომიკური და იურიდიული ფაკულტეტები, დღემდევ არ არის განაწილებული სამუშაოზე, წინადადება მიეცეს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი ამბ. კიკნაძე—თავმჯდომარე, ხახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ამბ. თარგამაძე, ფინანსთა სახალხო კომისარი ამბ. ციმაკურიძე, ვაჭრობის სახალხო კომისარი ამბ. დონაძე და სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსი ამბ. გელაშვილი, ხუთი დღის ვადაში გაანაწილოს სამუშაოზე დარჩენილი 46 სპეციალისტი, რომლებმაც 1938 წელს დამთავრეს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

3. იმ მიზნით, რათა სახალხო კომისარებმა და ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელებმა შეისწავლონ ის სტუდენტები, რომლებიც ეკონომიკურ და იურიდიულ ფაკულტეტებშე სწავლობენ, და რომ უკეთ იქნან ისინი გამოყენებული სწავლის დამთავრების შემდეგ სამუშაოზე, დაევალოს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარს, ვაჭრობის სახალხო კომისარს, იუსტიციის სახალხო კომისარს, აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე.

და სახალხო შეურნეობის აღრიცხვის სამმართველოს უფროსს მჭიდრო კავშირი დამყარონ ზემოაღნიშნულ ფაქულტეტებთან, ყოველგვარი დახმარება გაუწიონ თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს მასწავლებელთა სწორად შერჩევის საქმეში და უზრუნველჰყონ ნორმალური პირობები ეკონომიური და იურიდიული ფაქულტეტების სტუდენტთა მიერ საწარმოო პრაქტიკის გასავლელად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარს და თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს-დააჭესონ ეკონომიური და იურიდიული ფაქულტეტების პირველ კურსზე სტუდენტთა მიღების კონტიგენტი დაინტერესებული სახალხო კომისარებისა და ცენტრალური დაწესებულებების ხელმძღვანელთა მონაწილეობით.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 3. № 14.

თბილისი.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენის:

1. დამტკიცებულ იქნას დებულება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

2. გაუქმდებულ იქნას:

ა) დებულება საქართველოს სსრ ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წლის 30 მარტის დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 3, მუხ. 58; № 9, მუხ. 135);

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წ. 20 აპრილის დადგენილება „საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის რეორგანიზაციის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1934 წ. № 11, მუხ. 105).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.კ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელეგია.

1939 წ. იანვრის 8. № 39.

თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა



საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო
საგეგმო კომისიის შესახებ

1. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელ-
მწიფო საგეგმო კომისია წარმოადგენს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა
საბჭოს მუდმივ კომისიას.

2. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელ-
მწიფო საგეგმო კომისია შეიქმნება 7 წევრის შემადგენლობით, რომლებსაც პერ-
სონალურად დამტკიცებს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო სა-
გეგმო დარგას ხელმძღვანელ მუშაქთა, გამოჩენილ მეცნიერ მუშაქთა და სპე-
ციალისტთა რიცხვიდან.

3. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელ-
მწიფო საგეგმო კომისია:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს გან-
სახილველად წარუდგენს სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ, წლიურ და კვარ-
ტალურ გეგმებს;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგენს დასკვნებს
სახალხო კომისარიატებისა და რესპუბლიკური და საყავშირო ქვემდებარეობის
სხვა უწყებების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ავტონომიური ოლქის მიერ
შედგენილი პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების შესახებ; სა-
ხელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების გამო, აგრეთვე ძირითად სახალხო-
სამეურნეო და საგეგმო საკითხებზე, რომლებიც დასამტკიცებლად წარედგინებუ-
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს;

გ) შეამოწმებს საქართველოს სსრ დაწესებული სახალხო-სამეურნეო გეგმე-
ბის შესრულებას;

დ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით და თავი-
სი ინიციატივით შეიმუშავებს სოციალისტური მეურნეობის ცალკეულ პრობ-
ლემებს;

ე) დანიშნავს საექსპერტო კომისიებს ცალკეულ სამეურნეო საკითხებზე;

ვ) სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამართველოს მუშაობას უთანხმებს
რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ამოცანებს;

ზ) ხელმძღვანელობას უწევს ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური
ოლქის სახელმწიფო საგეგმო კომისიებს და საქალაქო და რაიონული აღმასრუ-
ლებელი კომიტეტების საგეგმო კომისიებს.

4. სახელმწიფო საგეგმო კომისიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს სხვა-
დასხვა დარგების განვითარების სწორი თანაფარდობის უზრუნველყოფა საქარ-
თველოს სსრ სახალხო მეურნეობის გეგმაში და საკირო ღონისძიებათა განხორ-
ციელება იმ მხრივ, რომ არ იქნას დაშვებული დისპროპორცია საქართველოს
სსრ სახალხო მეურნეობაში.



სახელმწიფო საგეგმო კომისიის უკისრება ამოცანა — შეათანხმოს საქართველოს კულტურული და სამუშაოების გეგმაში სოციალისტური წარმოების, მომზადებელი და დამმუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის მომიჯნავე დარგების მუშაობა; შეათანხმოს წარმოების ზრდა და მოხმარების ზრდა, წარმოების დაფინანსება და მისი მატერიალური უზრუნველყოფა; განახორციელოს საწარმოთა სწორი რაიონობრივი განაწილება, ამასთან მხედველობაში მიიღოს, რომ საჭიროა შორეული და შემხედვითი ტეირთზიდვის ლიკვიდაცია, საწარმოთა დაახლოება ნედლეულის წყაროებთან და მათი პროდუქციის მოხმარების რაიონებთან.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისია დაგეგმვის მეთოდოლოგიის სკიოთხებში, აკრეთვე სამეურნეო გეგმების შესრულების შემოწმების სკიოთხებში ხელმძღვანელობს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის მითითებებით.

6. სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებაში გარღვევების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო საგეგმო კომისია:

ა) სისტემაზრულად ამოწმებს სახალხო კომისარიატების (ცენტრალური დაწესებულებების), სამეურნეო ორგანოებისა და საწარმოების მიერ სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებას;

ბ) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად შეიტანს სკიოთხებსა და წინადადებებს, რომლებიც სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების შემოწმებიდან გამომდინარეობენ.

7. საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება ენიჭება მოსთხოვოს სახალხო კომისარიატებსა და სხვა უწყებებს, რომლებიც საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მოქმედებენ, საჭირო მასალები და განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების შემოწმებასთან.

8. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას აქვს აპარატი შემდეგი სტრუქტურული ერთეულების შემადგენლობით:

ა) ნაკრები სახალხო-სამეურნეო გეგმის განყოფილება

წარმოების, კაპიტალური მშენებლობის ნაკრები გეგმის, რაიონული დაგეგმვის, ფინანსების (ბიუჯეტის და კრედიტის) და სახალხო-სამეურნეო ბალანსების ჯგუფებით;

ბ) მრეწველობის სექტორი

მსუბუქი მრეწველობის, კვების მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის, სატექნიკური მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის და სარეწაო კონკრეტულის ჯგუფებით;

- გ) სოფლის მეურნეობის სექტორი
ერთწლოვანი კულტურების, მრავალწლოვანი კულტურების, მეცნიერების
წყალთა მეურნეობის, სოფლის ელექტროფიკაციის ჯგუფებით;
- დ) სოცეულტურის სექტორი
ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ხელოვნებისა და ბეჭდვისა სიტყვის
ჯგუფებით;
- ე) საბინაო-კომუნალური სექტორი
კომუნალური და საბინაო ჯგუფებით;
- ვ) საქონელბრუნვის სექტორი
საქონელბრუნვის, ფართო მოხსერების საგნების და ღამზაფების ჯგუფებით;
- ზ) ენერგეტიკისა და სათბობის სექტორი
სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორები განაგებენ სახალხო მეურნეობის მოცემული დარგის დაგეგმვის ყველა საკითხს და გეგმის შესრულების შემოწმებას კველა მისი მაჩვენებლის რაოდენობრივისა და ხარისხობრივის მიხედვით.
ამას გარდა, სახელმწიფო საგეგმო კომისიის შემადგენლობაში იმყოფებიან:
საქმითა მმართველობა;
ურნალ „საქართველოს სოციალისტური მეურნეობის“ გამომცემლობა და
რედაქცია;
სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის სამდივნო.
9. სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრებს არ შეუძლიათ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მუშაობა შეათავსონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში სხვა სამუშაოსთან.
10. სახელმწიფო საგეგმო კომისია თავის სხდომებზე განიხილავს სოციალისტური მეურნეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის პრეცესების წლიურ და კვარტალურ გეგმების შედგენასთან და მათი შესრულების შემოწმებასთან.
11. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებობს საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრები და საგეგმო დარგის სხვა მუშაკები — სულ 25 კაცამდე.

4. რაიონული საგეგმო კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

- დამტკიცებულ იქნას დებულება რაიონული საგეგმო კომისიების შესახებ
- ძალადაკარგულად ჩითვალოს დებულება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და დამოუკიდებელ აღმინისტრატიულ ტერიტორიულ ერთულების

ბად გამოყოფილი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგეგმო-სასტატ სტიკო ნაწილების შესახებ, დამტკიცებული საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 18 ივნისტოს დადგენილებით (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 13, მუხ. 185).

საქ. სსრ. ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელევია.

1939 წ. იანვრის 8. № 40.

თბილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

რაიონული საგეგმო კომისიების შესახებ.

1. რაიონული საგეგმო კომისიები მოქმედებენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებათა უფლებებით.

რაიონული საგეგმო კომისიები თავის საქმიანობაში ემორჩილებიან როგორც რაიონულ იღმასრულებელ კომიტეტს, ისე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას.

აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში შემავალი რაიონების საგეგმო კომისიები ემორჩილებიან როგორც რაიონულ იღმასრულებელ კომიტეტს, ისე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიებს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ საგეგმო კომისიას.

2. რაიონულ საგეგმო კომისიას სათავეში უდგას რაიონული საგეგმო კომისის თავმჯდომარე, რომელსაც დანიშნავს და უკან გაიწვევს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭოებთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიების თავმჯდომარეებთან და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საგეგმო კომისიის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

3. რაიონული საგეგმო კომისიების შემადგენლობაში შედიან კომისიის შევრები 5-7 რიცხვით, რომელსაც ამტკიცებს რაიონული აღმასრულებელი კომიტეტი რაიონული იღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების, სასოფლო საბჭოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკებისაგან, აგრეთვე სპეციალისტებისაგან, მოწინავე მუშებისა და კოლმეურნეებისაგან.



4. რაიონული საგეგმო კომისიებს ძქვთ თავისი პარატი, რომელსც შესძლება გება პასუხისმგებელი შემსრულებლებისაგან, დადგენილი წესით დამტკიცებული შტატების თანახმად.

5. რაიონული საგეგმო კომისიები:

ა) ანთორციელებენ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებათა, რაიონული მნიშვნელობის საწარმოთა და დაწესებულებათა მუშაობის მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას კვარტალური, წლიური და საპერსპექტივო გეგმების შედგენის დარღვევი;

ბ) იდგენერ ერთიან რაიონულ გეგმებს (საპერსპექტივო, წლიურ, კვარტალურ), რომლებშიაც შეიტანენ რაიონის მეურნეობისა და კულტურული მშენებლობის ყველა დარღვს რაიონის ტერიტორიაზე არსებული რესპუბლიკური და საკავშირო ქვემდებარეობის საწარმოთა გათვალისწინებით;

გ) რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტებს წარუდგენერ დასკვნებს რაიონული ბიუჯეტის პროექტის, ბიუჯეტის შესრულებაზე ანგარიშის შესახებ, აგრეთვე იმ ცალკეულ ღონისძიებათა პროექტების შესახებ, რომლებიც რაიონულ ორგანიზაციებს შემოაქვთ;

დ) ამოწმებენ დამტკიცებული გეგმების შესრულებას და შეიმუშავებენ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს შესრულებას;

ე) შეისწავლიან რაიონის საწარმოო ძალებს, აგრეთვე გამოავლინებენ რაიონის დამატებითს რესურსებსა და რეზერვებს, მათი უფრო სრულად ათვისებისა და გამოყენების მიზნით.

6. რაიონულ საგეგმო კომისიებს ენიჭებათ უფლება:

ა) მიიღონ გეგმების პროექტები, მასალები და ცნობები გეგმის შესრულების შესახებ რაიონული აღმასრულებელი კომიტეტის ყველა განყოფილებისაგან, აგრეთვე სასოფლო საბჭოებისა და რაიონული და სასოფლო ქვემდებარეობის სხვა დაწესებულებებისაგან;

ბ) მიიღონ მასალები და ცნობები, რომლებიც საჭიროა რაიონული გეგმების შესადგენად, აგრეთვე მასალები და ცნობები გეგმების შესრულების შესახებ რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ყველა ორგანიზაციისა, საწარმოსა და დაწესებულებებისაგან, მათი ქვემდებარეობის მიუხედავად, იმ მასალების საფუძვლზე, რომელსაც ეს ორგანოები ზემდგომო ორგანიზაციებს წარუდგენენ;

გ) მიიღონ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის რაიონული ინსპექტურისაგან სტატისტიკური და საანგარიშო მასალები გეგმების შესადგენად, ანგარიშების შესახებ მომზებელი წესების მოცულობით და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აქარის ასსრ და სამხრეთ-ოსეთის აგტონომიური ოლქის სახალხო მეურნეობის აღრიცხვის სამმართველოების მითითებათა შესაბამისდა.

7. რაიონული საგეგმო კომისიები თავის მუშაობაში აბამენ ფართო საზოგადოებრივობას და იურიდიურ სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მასალებს.

8. ქ. ქ. ობილისის, ფოთის, სოხუმის, ბათუმისა და სტალინირის საბჭოების საგეგმო კომისიები მოქმედებენ ამა დებულების საფუძველზე. რაიონების შემადგენლობაში შემავალი ქალაქების საქალაქო საბჭოების საგეგმო კომისიები მოქმედებენ იმ დებულებათა საფუძველზე, რომლებსაც რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები დაამტკიცებენ ამ დებულების შესაბამისად.

5. სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-12 მუხლის თანახმად განუყოფელი ფონდების ანარიცხის ოდენობის გამოსარჩევად მარცვლეული კულტურების, ტენიკური კულტურებისა და მეცხოველეობის რაიონების დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიეკუთვნოს მარცვლეულის რაიონებს საქართველოს სსრ ქვემოთჩამოთვლილი რაიონები, რომლებშიაც სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-12 მუხლის თანახმად, განუყოფელი ფონდების შესავსები ანარიცხის ოდენობა განისაზღვრება იმ ფულადი შემოსავლის არანაკლებ 12 და არაუმეტეს 15 პროცენტისა, რომელსაც არტელი ღებულობს:

ადგენის

ასპინძის

ხაჭაპურის

კასპის

თბილისის

ალბულახის

საგარეჯოს

სტალინირის (სამხ. ოსეთის ა/ო.)

ზნაურის (სამხ. ოსეთის ა/ო.)

ვანის

ბაღდათის

ჩხარის

ჭიათურის

ორუელიკიძის

ტყიბულის

ონის

ამბროლაურის

ცაგერის

ქვემო-სვანეთის

აბაშის

ზემო-სვანეთის

ქედის (აჭარის ასსრ)

ხულოს (აჭარის ასსრ)

2. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ქვემოთჩამოთვლილი რაიონები მიეკუთვნებიან ტენიკური კულტურებისა და მეცხოველოების რაიონებს, რომლებშიაც, სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდების მე-12 მუხლის თანახმად, განუყოფელი ფონდების შესავსები ანარიცხის ოდენობა განისაზღვრება იმ ფულადი შემოსავლის არანაკლებ 15 და არაუმეტეს 20 პროცენტისა, რომელსაც არტელი ღებულობს:

ახალქალაქის	ლენინგრძის (სამხ. ოსეთის ა/მ.)
ბოგდანოვეკის	ჯავის (სამხ. ოსეთის ა/მ.)
ახალციხის	ქუთაისის
გორის	სამტრედიის
ბორჯომის	წულუკიძის
ვურჯაანის	ზესტაფონის
სიღნაღის	ცხაკაიას
წითელწყაროს	გეგეშქორის
თელავის	ზუგდიდის
ყვარლის	ხობის
ლაგოდეხის	წალენჯიხის
ყარაიას	ჩხოროწყუს
ბორჩალოს	გახარაძის
ლუქსემბურგის	ლანჩხუთის
წალკის	ჩოხატაურის
დუშეთის	ფოთის
ბაშკაჩეთის	აფხაზეთის ასსრ ყველა რაიონი
თიანეთის	ქობულეთის (აჭარის ასსრ)
ყაზბეგის	ბათუმის (აჭარის ასსრ)

საქ. სსრ ს.ქ.ს-ოს თავმჯდომარე ვ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს.ქ.ს-ოს საქმეთა მმართველის მ. ა. ი. შელევია.

1939 წ. იავნრის 8. № 68.

თბილისი.

ଦୀତନାଥପାତ୍ରଙ୍କଣ: ବାଜାରପ୍ରେଲ୍‌ମ୍‌ ସେଇ ବାଚାଲକ୍ଷ୍ମୀ କୁମିଳାରତ୍ନ ବାଦ୍ଧିତ

ରନ୍ଧା ହାତାରଦ୍ରେଷ ପିଠାରଦ୍ରେଷ ଲାଗଶିଦ
ଶ୍ରେଣ୍ଟିଏରିଲ୍‌ମ୍‌ କ୍ରେଷିଟ

ମିସାମାର ତିନିମାତ୍ରାମ୍ବିଲ୍‌

ପ୍ରାଚୀ 40 କାଢି.

ବାଜାରପ୍ରେଲ୍‌ମ୍‌ ବାଚାଲକ୍ଷ୍ମୀ କୁମିଲାରତ୍ନ ପିଠାରଦ୍ରେଷ ଲାଗଶିଦ
କୁମିଲାରତ୍ନ କୁମିଲାରତ୍ନ କୁମିଲାରତ୍ନ କୁମିଲାରତ୍ନ

ମତାମ୍ବିଲ୍‌ ନଂ 464

ମତାମ୍ବିଲ୍‌ ନଂ 326

ଲାଗଶିଦ ନଂ 1500